გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში

მისაღები გამოცდის ტესტის ნიმუში

ქართულ ენასა და ლიტერატურაში

VIII კლასი

ხანგრძლივობა: 90 წუთი

ანოტაცია:

ტესტი 70- ქულიანია. იგი აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით და ამოწმებს მოსწავლის მიერ პროზაული მხატვრული ტექსტის გააზრებისა და წერითი მეტყველების უნარ-ჩვევებს.

ტესტი

(ნიმუში)

რევაზ ინანიშვილი

შემოდგომის დღე

მთელი დღე წვიმდა, საღამოს ქარი ამოვარდა, დაგლიჯა ყვითელი ფოთლები და ზოგი საით წაიღო, ზოგი საით. დილით ქარი ჩადგა, ბრჭყვიალა მზემ გამოანათა. მზეს მიეფიცხნენ მოხუცებიც. სულ მალე ზაფხულივით დათბა.

ჩავიცვი ჩექმები, დავიხურე ჯარისკაცური პანამა, დავიჭირე ჯოხი და დასასვენებლად წავედი. როცა ჩემს სოფელში ვარ, ასე ვისვენებ.

ამ ხეობაში ზამთარიც ძალიან ლამაზი იცის, გაზაფხულიც, ზაფხულიც, მაგრამ ყველაზე მეტად მე მაინც გვიანი შემოდგომა მომწონს. შემიძლია საათობით ვიჯდე ხოლმე და ვუყურო, როგორ მიედინება თითქმის მწვანე მდინარე, როგორ ტრიალებენ ჩამოცვივნული ფოთლები სატრიალოებში, როგორ ლივლივებენ წნორის წითელი ფესვები. მამშვიდებს ფიქრი, რომ ეს წყალიც, ეს ფოთლებიც და ეს ფესვებიც ასე იყო ათასობით წლის წინათ და ასევე იქნება ათასობით წლის შემდეგაც.

საოცრებაა ყვითლად აბრიალებული ხეები! მაგრამ მე ისინი მაშინაც მიყვარს, ფოთლები რომ დასცვივათ და უკვე კვირტებდაბერილი წვრილი ტოტებით მკვეთრად დაიხატებიან ცაზე. არ დამიჯერებთ და, მე ეკლებიც კი მიყვარს, - ყოველთვის ღიმილს მგვრის მათი მოყვანილობა. ისინი სწორედ ისე არიან მოღუნულნი, რაც შეიძლება მარჯვედ გამოგედონ. იქნებ რა უნდათ, რატომ გებღაუჭებიან, რა აქვთ სათქმელი?! მაგრამ ეკლები არასოდეს არაფერს ამბობენ.

მივდიოდი, მივიბჯენდი ჯოხს...

ოცი-ოცდახუთი ნაბიჯის იქით, მწვანედ გალიცლიცებულ მორევში რქიანი შველი იდგა. წყალი მუცლამდე სწვდებოდა, პირი დაეღო და ღრმად სუნთქავდა. დაიძრა, ზემოთ-ზემოთ წავიდა, უფრო ღრმაში გაჩერდა, მიმოიხედა, იდგა, წყალს უძალიანდებოდა, ისევ პირდაღებული სუნთქავდა. მე თვალსაც კი აღარ ვახამხამებდი, მაგრამ უცებ რაღაცა იგრძნო, არც მოუხედავს, წყლიდან გამოვარდა და ტყეში შეიკარგა.

ჩავუჩოქე და მიწას ვუთხარი მადლობა ამ მშვენიერი სანახაობისათვის...

სოფლის მისასვლელთან ტყის მცველები შემხვდნენ, - გოგია და ალექსა. ვუამბე, შველი როგორ ვნახე.

- საწყალი, - თქვა ალექსამ, - მეცა ვხედავ ხოლმე, მუცელშია დაჭრილი და ეგრე დგება წყალში, როცა ტკივილი ძალიან აწუხებს.
  ნათელ, ლამაზ დღეს უცებ გადაეფარა თალხი.

1. ტექსტის პირველი აბზაციდან გადმოწერეთ პეიზაჟის ამსახველი სამი წინადადება. (5)

_____
_____
_____
_____

2. მოთხრობაში ვკითხულობთ:

„მე ეკლებიც კი მიყვარს... ისინი სწორედ ისე არიან მოღუნულნი, რაც შეიძლება მარჯვედ გამოგედონ. იქნებ რა უნდათ, რატომ გებღაუჭებიან, რა აქვთ სათქმელი?!“

რომელი **მხატვრული საშუალებაა** აქ გამოყენებული: (5)
(შემოხაზეთ სწორი პასუხი)

ა) შედარება
ბ) გაპიროვნება +
გ) რეფრენი
დ) მეტაფორა

3. დავაკვირდეთ ამ ფრაზას:

„ ... როგორ მიედინება თითქმის მწვანე მდინარე, როგორ ტრიალებენ ჩამოცვივნული ფოთლები სატრიალოებში“.

რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა **„სატრიალოები“** <u>მოცემულ კონტექსტში:</u>

(5)

(შემოხაზეთ სწორი პასუხი)

ა) კარუსელს

ბ) ქარიშხალს

გ) მორევს +

დ) ნაპირს

4. ნაწარმოებში აღწერილია **ბუნების სურათი:** (5)

„შემიძლია საათობით ვიჯდე ხოლმე და ვუყურო, როგორ მიედინება თითქმის მწვანე მდინარე, როგორ ტრიალებენ ჩამოცვივნული ფოთლები სატრიალოებში, როგორ ლივლივებენ წნორის წითელი ფესვები... ძალიან მამშვიდებს ფიქრი, რომ ეს წყალიც, ეს ფოთლებიც და ეს ფესვებიც ასე იყო ათასობით წლის წინათ და ასევე იქნება ათასობით წლის შემდეგაც“.

რაზე დააფიქრებს ავტორს ბუნების ეს სურათი:
(შემოხაზეთ სწორი პასუხი)

ა) ყველაფრის უაზრობაზე
ბ) ფოთლებისა და ფესვების სილამაზეზე
გ) მდინარის ძალაზე
დ) ბუნების მარადიულობაზე +

5. გადაიკითხეთ მოცემული ეპიზოდი:

„მორევში რქიანი შველი იდგა. წყალი მუცლამდე სწვდებოდა, პირი დაეღო და ღრმად სუნთქავდა. დაიძრა, ზემოთ-ზემოთ წავიდა, უფრო ღრმაში გაჩერდა, მიმოიხედა, იდგა, წყალს **უძალიანდებოდა**“.

ჩამოთვლილთაგან რომელი სიტყვა/გამოთქმა უპირისპირდება შინაარსობრივად სიტყვას - **„უძალიანდებოდა“**:
(შემოხაზეთ ერთი სწორი პასუხი) (5)

ა) არ ეპუებოდა

ბ) წინააღმდეგობას უწევდა

გ) ნებდებოდა +

დ) ებრძოდა

6. როგორ გესმით **ფრაზა:**

„ნათელ, ლამაზ დღეს უცებ **გადაეფარა თალხი“.** (5)
(შემოხაზეთ სწორი პასუხი)

ა) ცას გადაეფარა ღრუბელი
ბ) დედამიწას გადაეფარა ფარდა
გ) ნისლი ჩამოწვა
დ) გარემო დანაღვლიანდა +

7. ავტორი გვიამბობს:

„ საღამოს ქარი <u>ამოვარდა, დაგლიჯა</u> ყვითელი ფოთლები და ზოგი საით <u>წაიღო,</u> ზოგი საით“. (5)

ხაზი გაუსვით **ზმნებს.**

8. რაზე დაგაფიქრათ ამ მოთხრობის **მთავარმა სათქმელმა, იდეამ** ? (20)

(დაწერეთ თქვენი მოსაზრება)

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

9. დაახასიათეთ ნაწარმოების **მთავარი პერსონაჟი (მთხრობელი)** - როგორ პიროვნებად წარმოგიდგენიათ იგი?

მისი ხასიათის რომელ თვისებას გამოყოფდით?

(მსჯელობა დაასაბუთეთ. სასურველია, ტექსტიდან მოიხმოთ შესაბამისი ციტატა)

(20)

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

გმადლობთ თანამშრომლობისთვის!

<u>მე-8 და მე-9 დავალებების შეფასების სქემა:</u>

შინაარსობრივი მხარე	(5)
სინტაქსი, ორთოგრაფია	(5)
პუნქტუაცია	(5)
ლექსიკა, სტილი	(5)